

საგამოცდო საკითხები/ქვესაკითხები ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის
სტუდენტებისათვის გალენური პრეპარატების ტექნოლოგიაში

2022/2023 სასწავლო წელი

1	წამალთა ტექნოლოგია, როგორც მეცნიერება. მიზანი, ამოცანები. განვითარების ისტორიული ეტაპები. წამალთა ტექნოლოგიაში გამოყენებული ცნებები და ტერმინები. წამლის მომზადების საერთო პრინციპები.
2	ნტდ წამლის წარმოებაში. მატერიალური ბალანსი. წამლის ფორმები. დახასიათება კლასიფიკაცია.
3	კარგი საწარმოო პრაქტიკა.
4	ფარმაცევტული ხსნარები; დახასიათება, კლასიფიკაცია. გამხსნელები. ხსნადობის პროცესების თეორიული საფუძვლები.
5	სითხოვანი წამალთფორმები. ხსნარები ადვილად ხსნადი სამკურნალწამლო ნივთიერებებით. ხსნარების მომზადების განსაკუთრებული შემთხვევები.
6	კონცენტრული ხსნარების მომზადება. სითხოვანი წამალთფორმების მომზადება კონცენტრული ხსნარებით და მშრალი სამკურნალწამლო ნივთიერებებით.
7	სტანდარტული ფარმაცევტული ხსნარები. სტანდარტული ფარმაცევტული ხსნარების განზავება.
8	ალკოჰოლომეტრია. არაწყლიან გამხსნელებზე ხსნარების მომზადების ტექნოლოგია.
9	წვეთების მომზადების ტექნოლოგია.
10	შეუზღუდავად გაჯირჯებადი მაღალმოლეკულურ ნივთიერებათა ხსნარების მომზადება. ხსნარების მომზადება შეუზღუდავად გაჯირჯებადი მაღალმოლეკულური ნივთიერებებისგან.
11	დაცული კოლოიდური და ნახევრადკოლოიდური ხსნარების მომზადება.
12	სუსპენზიები: დახასიათება, კლასიფიკაცია, მომზადების ტექნოლოგია, სტანდარტიზაცია.
13	ემულსიები: დახასიათება, კლასიფიკაცია. მომზადების ტექნოლოგია, სტანდარტიზაცია. ემულგატორები.
14	სიროფები, დახასიათება, კლასიფიკაცია, ტექნოლოგია, სტანდარტიზაცია.
15	არომატული წყლები, დახასიათება, ტექნოლოგია, სტანდარტიზაცია.
16	ნაკრებები. დახასიათება, კლასიფიკაცია, ტექნოლოგია. მარილის შემცველი ნაკრებების მომზადება. ეთერზეთებისა და სპირტში ხსნადი ნივთიერებების (ქაფური, მენტოლი) შემცველი ნაკრებების მომზადება. დოზირებული ნაკრებების მომზადება.
17	უჯრედული სტრუქტურის მცენარეული ნედლეულიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოწვლილივის კანონზომიერებანი.

18	მცენარეული ნედლეულიდან მიღებული წყლიანი გამონაწვლილები, დახასიათება, მომზადების ტექნოლოგია.
19	ნაყენები, კლასიფიკაცია, ნომენკლატურა. ნაყენების მიღების ხერხები: მაცერაცია, პერკოლაცია, გახსნა. განსაკუთრებული შემთხვევები. ნაყენების სტანდარტიზაცია. შენახვა.
20	ნაყენების მომზადების განსაკუთრებული შემთხვევები.
21	ექსტრაქტები, დახასიათება, კლასიფიკაცია, ნომენკლატურა.
22	სითხოვანი ექსტრაქტების ტექნოლოგია, სტანდარტიზაცია, შენახვა.
23	სქელი და მშრალი ექსტრაქტები: ნომენკლატურა, ტექნოლოგია, სტანდარტიზაცია, შენახვა.
24	ზეთოვანი ექსტრაქტები: დახასიათება, ნომენკლატურა, ტექნოლოგია, სტანდარტიზაცია, შენახვა. E
25	ექსტრაქტ-კონცენტრატები: დახასიათება, ტექნოლოგია. ექსტრაგენტები. ექსტრაგენტის რეკუპერაცია გადამუშავებული ნედლეულიდან.
26	მაქსიმალურად გასუფთავებული (ჯამური, ახალგაღენური) პრეპარატები: დახასიათება, ნომენკლატურა, ტექნოლოგია, გაწმენდის ხერხები, სტანდარტიზაცია.
27	ინდივიდუალურ ნივთიერებათა პრეპარატები: დახასიათება, ნომენკლატურა, ტექნოლოგია, გაწმენდის ხერხები, სტანდარტიზაცია.
28	ბიოგენური სტიმულატორების პრეპარატები: მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის. დახასიათება, ტექნოლოგია, სტანდარტიზაცია.
29	ნედლი მცენარეული ნედლეულიდან მიღებული პრეპარატები: წვენები და გამონაწვლილები; დახასიათება, კლასიფიკაცია, ტექნოლოგია.
30	ორგანოპრეპარატები: დახასიათება, კლასიფიკაცია, ნომენკლატურა. ნედლეულის გადამუშავების თავისებურებანი.
31	ჰორმონების შემცველი ორგანოპრეპარატების ტექნოლოგია (თირეოიდინი, ინსულინი), სტანდარტიზაცია.
32	ფერმენტების შემცველი ორგანოპრეპარატების (პეპსინი) ტექნოლოგია, სტანდარტიზაცია. იმობილიზებული ფერმენტები.